სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/21

ქ. თბილისი

15 იანვარი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, „სტუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის“, „სტუ-ის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის“ და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 15 იანვრის №01-05-02/03 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულტეტებზე 2020 წლის 20 იანვარს გამოცხადდეს ღია კონკურსი 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი) დასაკავებლად:
   1. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი;
   2. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

II. დამტკიცდეს ვაკანტური აკადემიური თანამდებობების შესაბამისი საგანთა ჯგუფები (დანართი 1).

III. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები და კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა (დანართი 2).

IV. დამტკიცდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებაში გამოსაქვეყნებელი ტექსტი (დანართი 3).

V. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვის მიზნით, აღნიშნული ასაკის მქონე პირმა განცხადება უნდა შეიტანოს უნივერსიტეტის კანცელარიაში წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

VI. დამტკიცდეს დარგობრივი საკონკურსო კომისიების შემადგენლობა (დანართი 4).

VII. საკონკურსო განცხადებები მიიღება 2020 წლის 20-21 თებერვალს, 10^{00}-დან 17^{00} საათამდე, შესაბამისი საკონკურსო კომისიის სამდივნოში.

VIII. კონკურსი ჩატარდეს 2020 წლის 27-28 თებერვალს. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2020 წლის 28 თებერვლისა შესაბამისი საკონკურსო კომისიის მიერ თვალსაჩინო ადგილზე და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

IX. კონკურსი ჩატარდეს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად.

X. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნეს: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

XI. კონკურსის ჩატარების წესის დარღვევასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიაში განცხადებები/საჩივრები მიიღება 2020 წლის 02 მარტის ჩათვლით.

XII. კონკურსის შედეგები დამტკიცდეს აკადემიურ საბჭოში და კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.gtu.ge) არაუგვიანეს 2020 წლის 06 მარტისა, კონკურსში გამარჯვებულ პირთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს არაუგვიანეს 2020 წლის 13 მარტისა.

XIII. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

XIV. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**